საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4605
19/08/2022

4605-21-2-202208191756

შპს „დაგს“
მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, პ. იბერის ქ., N 4, კორ. 1, ბ. 64
ელ. ფოსტა: d.bibil@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, 2022 წლის 9 აგვისტოს წარმოდგენილი №3901 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თერჯოლაში ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს როგორც სკოპინგის დასკვნით, ასევე სააგენტოს 2022 წლის 29 ივლისის N21/3929 წერილით მოთხოვნილი საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშში (თავი N14 - სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება) აღნიშნულია, რომ სკოპინგის ეტაპზე გამოვლინდა მოსახლეობის დაინტერესება დასაქმების თვალსაზრისით და შესაბამისად ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტაციის გარეშე გაკეთებულია დასკვნა, რომ „სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თანამედროვე ეტაპზე მოსახლეობისათვის დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე გარემოსდაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა”. რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, სოფ. მეორე სვირში ჩატარებულ საჯარო განხილვაზე, დამსწრე საზოგადოების მხრიდან აღინიშნა, რომ პროექტი მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოახდენს მათ საცხოვრებელ გარემოზე და შესაბამისად, საწარმოს მოწყობას არ ეთანხმებიან. ამასთან, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით, დაინტერესებული საზოგადოების მიერ წარმოდგენილ იქნა წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები. შენიშვნები ეხება პროექტის განხორციელებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და კულტურებზე, მათ შორის მევენახეობაზე მოსალოდნელ ზემოქმედებას, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რეგულირებასა და მონიტორინგს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მოსახლეობის მიერ წარმოდგენილ წერილში

მკაფიოდ იქნა დაფიქსირებული პოზიცია პროექტის განხორციელებაზე წინააღმდეგობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია ქ. თერჯოლაში შპს ,,დაგის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე სააგენტოს მიერ გაცემულ სკოპინგის დასკვნაში, ამასთან, **სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილ იქნა პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების, აზრის გათვალისწინების და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაციის წარმოდგენა გზშ-ის ანგარიშში.** გზშ-ის ანგარიშში კვლავ აღნიშნულია, რომ „პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობიდან წერილობითი სახით შენიშვნები არ შემოსულა. მეწარმის მიერ სოფლის გამგეობის წარმომადგენელის შუამავლობით ხორციელდება მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილი საქმიანობის მიმართებით და თუ იქნება მათ მიერ გამოთქმული რაიმე სახის დასაბუთებული შენიშვნები, ის გათვალისწინებული იქნება გზშ-ს ანგარიშში“. როგორც უკვე აღინიშნა დაინტერესებული საზოგადოების მიერ პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ იყო შენიშვნები. შესაბამისად აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების, აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;**

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ საწარმოს განთავსების შერჩეული ალტერნატიული ვარიანტის დადებითი მხარეები. დაზუსტებას საჭიროებს ადგილმდებარეობის ალტერნატივის ანალიზის შესახებ ინფორმაცია. გზშ-ის ანგარიშში განხილული უნდა იყოს საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობის ყველა შესაძლო ალტერნატივა, თითოეული ალტერნატიული ვარიანტის დადებითი და უარყოფითი მხარეების მითითებით, შერჩეული ალტერნატივის გარემოსდაცვითი დასაბუთებით;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია გენერალური გეგმა გაფრქვევის წყაროთა ჩვენებით, რომელიც არ იკითხება, ამასთან აღნიშნულ გეგამზე არ არის დატანილი ხმაურის წყაროები. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მაღალი გარჩევადობის (როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით) გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება საპროექტო დანადგარები, ტექნოლოგიური მოწყობილობები და უბნები, დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ტექნოლოგიურ ციკლში მონაწილე თითოეული დანადგარის ხმაურის დონის შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ წყლის გამაციებლის სიმძლავრე შეადგენს 120 $მ^3$ /სთ-ს, ხოლო წყლის დანაკარგი 1.2 $მ^3$/სთ-ს. წყლის დანაკარგის შევსება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი ჭაბურღილიდან. სულ საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გამაციებელი სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა იქნება 528 $მ^3$/წელ (1.2 x 340+120). საწარმოს სამუშაო გრაფიკის (დღეში 24 საათი) გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს გამაციებელი სისტემის მიერ მოხმარებული წყლის რაოდენობა;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია საწარმოო შენობის, ასევე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა. ანგარიშში არ არის წარმოდგენილი

საწარმოო ობიექტის მოწყობის სამუშაოების და აღნიშნული სამუშაოების შედეგად გარემოს თითოეულ კომპონენტზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;

- ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია საწარმოო დანიშნულების 12 მეტრი სიმაღლის შენობის მშენებლობა, ასევე სადნობი ღუმელის უბანზე მოხდება შენობის ამაღლება 14 მ-მდე, ხოლო საკვამლე მილის სიმაღლე იქნება 14 მ. ვინაიდან სადნობი ღუმელის შენობის სიმაღლედ განსაზღვრულია 14 მეტრი, დაზუსტებას საჭიროებს საკვამლე მილის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან და მისი მოწყობის საკითხები;
- გზშ-ის ანგარიშში (ქვეთავი - 4.4. ნიადაგების და გრუნტის ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასება და ნიადაგების დაბინძურების ფაქტორი) აღნიშნულია, რომ „საქმიანობის სპეციფიკაციის გამო ძირითად დამაბინძურებელ ფაქტორს წარმოადგენს: შლამის და კუდების მართვის წესების დარღვევა და ნავთობპროდუქტების ნიადაგში მოხვედრა“. დაგეგმილი საქმიანობის გათვალისწინებით დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული ნარჩენების წარმოქმნის საკითხი;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ურთიერთშეუსაბამო ინფორმაცია კერძოდ თავი 4.10-ში მოცემული ინფორმაციით საწარმოს ნედლეულით მომარაგებისა და მზა პროდუქციის ტრანსპორტირება მოხდება 2800 მეტრი შიდა საავტომობილო გზით, რომელიც უკავშირდება თბილისი-ლესელიძე-სენაკის საავტომობილო მაგისტრალს, ხოლო თავი 1.3-ში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მისასვლელად გამოიყენება ზესტაფონი-სვირის ასფალტირებული საავტომობილო გზა, რომელიც საპროექტო ნაკვეთიდან დაშორებულია 40 მეტრი მანძილით. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.
- გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს ნედლეულისა და პროდუქციის საწარმომდე მისასვლელ გრუნტის გზაზე გადატანისას ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საკითხები და მტვრის გავრცელების შემცირების მიზნით გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებები (გზის მორწყვა და სხვა);
- გზშ-ის ანგარიშში (გვ 44) აღნიშნულია „პროექტის მიხედვით გაწმენდის ეფექტურობა უნდა შეადგენდეს 99%-ს. აირგამწმენდ სისტემაში შესვლამდე მტვრის კონცენტრაცია დასაშვებია იყოს 20 გ/მ^3, ხოლო ფილტრის გამოსავალზე არაუმეტეს 20 მგ/მ^3“. გაწმენდის 99% ეფექტურობის შემთხვევაში გამოსავალზე იქნება არა 20 მგ/მ^3 , არამედ - 200 მგ/მ^3, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ასევე კორექტირებას საჭიროებს ცხრილი 1 (საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა) და ცხრილი 2 (გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა), სადაც მოცემულია ძალადაკარგული კანონების/კანონქვემდებარე აქტების ჩამონათვალი. ამასთან ბუნდოვანია როგორც დოკუმენტში გამოყენებულ ცნებათა განმარტებები, ასევე აღნიშნული განმარტებების საჭიროება და მათი საკანონმდებლო საფუძველი. აღნიშნული განმარტებები მოცემულია სხვადასხვა ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტებიდან. ზემოაღნიშნულ შენიშვნებთან ერთად, გზშ-ის ანგარიში როგორც ტერმინოლოგიური, ასევე ორთოგრაფიული თვალსაზრისით გაუმართავია (მაგალითად: „დასაწყოვდება“, „საამშენებლო“, „0დენობით“, „გამზავანებული”, „შემოგრენში”, „ელექტრომაგნიტ ური“ და სხვა) და საჭიროებს საფუძვლიან გადამუშავებას.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების/საკითხების გათვალისწინებით გადამუშავებული და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. **დამატებით გთხოვთ, უზრუნველყოთ წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაციის ცხრილის სახით წარმოდგენა, შესაბამისი გვერდების მითითებით.**

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო